

საპრეზიუმო

საპრეზიუმო

პარასკევი 28 ივლისი 2000 №143 (1165)

ფასი 50 თეთრი

განსჯა ინფარქტი

ილია აბაუნაშვილი

ქვირჯას შვიტხველს ამ მცირე რეპლიკის წაკითხვისას დახარჯული დროის გამო დიდ ბოდიშს კი ვუხდით, მაგრამ მაინც ფაქტია, ნებისმიერი ქართული გუნდის ევროსამარცხენო თამაშის შემდეგ ხელს ვიქნევთ და ორი კილო მწვანე ლობოს საყიდელი ფულის შოვნაზე ვიწყებთ ფიქრს. მაგრამ გულის სიღრმეში ბრაზი ბრაზს ემატება და ინფარქტიც შორიახლოს დაცუნცულებს. ამიტომაც, სრულიად სერიოზულად მინდა საკუთარი ჯანმრთელობის დაცვისკენ მოვიხილოთ. ხომ ვნერვიულობთ უშუქობის, უწყობის, უსინდისობის, უტყუარობის და მრავალი სხვა გარემორტყმული სენის გამო. მოდით, ამას ფეხბურთის თაობაზე ნერვიულობას ნულარ დავამატებთ. ეს კი მარტივია. საკმარისია, ვაღიაროთ, რომ ქართული ფეხბურთი იმავ დონისაა, ლუქსემბურგული ან ისლანდიური რომ გახლავთ და გულისხმეთქვაც ტანიდან ჩამობანილი ჭუჭყლით მოგშორდებოდნენ.

ვიცი, ბევრი იტყვის, ეს რომ ვაღიარო, წარსული თაობების დიდი წარმატებებიც აბაზანის ნახვრეტში უნდა ჩავერცხო და ამას ვერ ვიზამო. არადა, ფაქტია: დღეს ქართული ფეხბურთი მართლაც ლუქსემბურგულის და ისლანდიურის დონისაა და აზრსმოკლებულ ამბიციებსაც რაც მალე მოვიშორებთ, მით უკეთესი. შემოდგომის აზნაურებს ნუ დავემსგავსებით. ნერვიულობას აზრი მაშინ აქვს, როდესაც საქმეს რაიმე ეშველება.

აი, ნაავო ქუთაისის „ტორპედო“ „ცრვენა ზევზდასთან“ 0:4. მერე რა? რაიმე სხვას ველოდით? ანდა „ტორპედოს“ მაგივრად, ვთქვათ, „დინამო“ რომ ყოფილიყო (გნებავთ სხვაც დაასახელეთ) რაიმე შეიცვლებოდა?

არა! იმიტომ, რომ დღეს ქართული ფეხბურთი ლუქსემბურგულის და ისლანდიურის დონისაა. ხოლო, რაც შეეხება ძველ წარმატებებს, ჩვენც გვეყოლება (ზოგს უკვე გვყავს) შვილიშვილები და სადმე აგარაკზე, ცაცხვის ჩრდილში რომ წამოვწვებით, მოუყვებით. იცოდნენ მაინც.

ისე, როგორც ერთ სევდიან ლექსშია: ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.

შინ თუ საპარტიოროში? უზველის ბითაროვი რატიანს?



მერაბ რატიანი და მისი ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი

25 ივლისს ს.კ. „დინამოს“ პრეზიდენტის, მერაბ რატიანის ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. როგორც იცით, რაიონულმა სასამართლომ რატიანის გამოძიების ბოლომდე სამთვნიანი პატიმრობა მიუსაჯა. საოლქო სასამართლომ რატიანის საქმე 26 ივლისს ჩაიბარა კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილისგან. პროცესი დღესაც დანიშნული და მას მოსამართლე იური გაბისონია გაუძღვება. სწორედ დღეს გადაწყდება, შეიცვლება თუ არა რატიანის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება გამოძიების ბოლომდე.

იხილეთ მეორე გვერდი



ზურაბ როსტიაშვილი

ბელგრადის პოლიციამ ტორპედო გადაარჩინა



REUTERS ბელგრადიდან

ბელგრადი. „მარაკანა“. ფეხბურთში პოლიტიკის გარეგან ასეთი შედეგი მოსდევს

Torpedovanje!

საქართველოს ჩემპიონი შერცხვა. ბელგრადულმა ისე რა „ცრვენა ზევზდამ“ ქუთაისის „ტორპედო“ გაანადგურა. ამას, ბუნებრივია, იუგოსლავიური პრესაც სათანადოდ გამოეხმაურა: „ტრიუმფი“, „დიდი გამარჯვება“, „ტორპედო აფეთქდა“ — აი ასეთი სათაურებით აჭრელდა გუშინდელი სერბული გაზეთები. „გასახდელში ფეხბურთელებმა მითხრეს, ტრიბუნაზე პოლიცია ჩვენს ქომაგებს რომ დაერია და ერთი ამბავი ატყდა, აგნერვიუდით, ყურადღება გაგვეფანტა, თორემ „ტორპედოს“ ერთ ამდენსაც გავეუტანდით“ — განუცხადებია „ცრვენა ზევზდას“ მწვრთნელს სლავოლიუბ მუსლინს გაზეთ „გლას იავნოსტისთვის.“ „მარაკანას“ ჩრდილოეთ ტრიბუნაზე პოლიციისა და გუნდის ქომაგ „დელიების“ ინციდენტზე მეთხვე გვერდზე წაიკითხავთ, აქ კი... — ჩვენი პრესის საერთო აზრი ასეთია: ქუთაისის „ტორპედო“ მეორე კლასის გუნდიც არ არის. საქართველოს ჩემპიონებს ფეხბურთის თამაში არ სცოდნიათ. არც ჩვენებურები არიან მაინცდამაინც ძლიერნი, მაგრამ „ტორპედოსთან“ შედარებით მართლაც ვარსკვლავებად გამოჩნდნენ — გვითხრა გუშინ ჩვენმა იუგოსლავიულმა კოლეგა დეიან იოანოვიჩმა.

იხილეთ მესამე გვერდი

2000-2001 წლების სეზონის უმთავრესი თარიღები

- 1.08.2000 იხსნება თავისუფალ აგენტთა ბაზარი. კლუბებთან კონტრაქტდამთავრებულ კალათბურთელებს ახალი ხელშეკრულების გაფორმების უფლება მიეცემა.
3.10.2000 ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბები სანვრთნელ შეკრებებს დაიწყებენ.
10.10.2000 ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბები საკონტროლო, ანუ საგამოფენო მატჩების გამართვას დაიწყებენ.
31.10.2000 დაიწყება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატი.
11.02.2001 ვაშინგტონში გაიმართება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „ოლ სტარზის“ მატჩი.
15.02.2001 შეწყდება მოთამაშეთა გუნდიდან გუნდში გადასვლა. სეზონის ბოლომდე ყველა კალათბურთელის კონტრაქტი გარანტირებული ხდება.
21.04.2001 დაიწყება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფი.

ორლანდო ვერ კლუბი



მორის ტეილორი

თამაში ყველას, ვინც კი ძველი კონტრაქტისგან თავისუფალია. ფლორიდული გუნდი კალათბურთელებს პირველ ყოვლისა უზარმაზარი სახელფასო ფონდით იზიდავს. გარდა ამისა, ამ ერთი თვის განმავლობაში აყვანილი ვარსკვლავებით „ორლანდო“ მომავალ სეზონში აღმოსავლეთის ჩემპიონობაზე განაცხადებს პრეტენზიას. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ყველა გზა ამ ქალაქში მიდის. კლუბი ყველასთან ახერხებს შეხვედრას და წინასწარ მოლაპარაკებას.

ამ ერთი კვირის წინ ამ გზას გაუფხვრა „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ თავისუფალი აგენტი, თავდამსხმელი მორის ტეილორიც. იგი „ჯადოქართა“ ბოსებს შეხვდა და იმდენად კმაყოფილია მათთან საუბრით, რომ მზადაა, დაუყოვნებლივ გახდეს ამ გუნდის წევრი, თუნდაც „მეჯიქსა“ ისეთი სარფიანი კონტრაქტი ვერ შესთავაზოს, როგორც, ვთქვათ, ტრეისი მაკგრეიდის. მაკგრეიდი და ტეილორი დაახლოებით თანაბარი დონის მოთამაშეები არიან, თუმცა პირველს გაუმართლდა და „ორლანდო“ დათანხმდა, მისთვის ექვს სეზონში 67,5 მილიონი გადაეხადა. ტეილორი კი აცხადებს, რომ ისეთ კონტრაქტსაც დასჯერდება, რომელიც ყოველწლიურად მხოლოდ ოთხ მილიონს მოუტანს.

მორის ტეილორს თავისი კარიერის პირველი სამი სეზონი „კლიპერსში“ გაუტარებია. იგი ამ ზაფხულს გახდა თავისუფალი აგენტი. კალათბურთელი იმდენად უკმაყოფილოა იქ ყოფნით, რომ მზად არის, ყველგან ითამაშოს, ოღონდ არა ძველ გუნდში. ბოლო სეზონში ტეილორი საშუალოდ მატჩში 17,1 ქულას და 6,5 მოხსნას აკეთებდა, ასეთი მაჩვენებლებით კი ბევრად მეტს იმსახურებს, ვიდრე სიახლოვებ. გარდა ამისა, „კლიპერსი“ ლიგის წყალწალბებული გუნდია და ბუნებრივად, ტეილორი სულაც არაა აღფრთოვანებული იქ გატარებული სამი არაფრის მომცემი სეზონით.

ტეილორისთვის დღესდღეობით ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი „ორლანდო“ და იგი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალ სეზონს ამ გუნდის მაისურაით შეეგებება. თავად კლუბის კომენტარი ამის თაობაზე უცნობია. თუ ტეილორი „მეჯიქსის“ წევრი გახდა, მას დიდი კონკურენციის დაძლევა მოუწევს. თავდამსხმელის ამპლუაში ორლანდოს ახალშემქნილი ტრეისი მაკგრეიდი და ძველი ბო აუთლო ჰყავს, აგრეთვე პორტლენდელი ბრაიან გრანტის აყვანა სურს, ხოლო თუ ეს ვერ მოახერხა, ნიუიორკელი კურტ ტომასი, ალბათ, ვერსად წაუვა.

თავისუფალი აგენტების ბაზარზე კვლავაც გაცხოველებული ვაჭრობაა განაღებული. ახლოვდება პირველი აგვისტო, კონტრაქტების ოფიციალურად გაფორმების თარიღი. ერთმანეთი დაინტერესებული ესა თუ ის კლუბები და მოთამაშეები ცდილობენ, მანამდე მოავგარონ ყველა წვირილმანი, ისე, რომ საქმე ხელის მოწერამდე მიიყვანონ.

ჯერჯერობით ყველაზე დიდი აქტიუტაჟი კლუბებიდან კვლავ „ორლანდო მეჯიქსის“ გარშემოა ატეხილი. ამ გუნდში სურს

ტომასი კროშერიის შენარჩუნებას ცდილობს

ერთობ გაურკვეველ სიტუაციაში ჩავარდნილა შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „ინდიანა პეისერზი“. მას მრავალდ ჰყავს საკუთარი თავისუფალი აგენტები დეიდ დევისის გარდა არც ერთ ლიდერს არ აკავშირებს კლუბთან კონტრაქტი და ყოველთვის მოსალოდნელია, „მარდებს“ წამყვანი მოთამაშეები თვალსა და ხელს შუა შემოეფანტოს. კლუბის ხელმძღვანელთა მთავარი თავისტიკვილიც ესაა. თუ „ინდიანას“ არ სურს, ვიცე-ჩემპიონიდან აუტსაიდერად იქცეს, ყველა ღონე უნდა იხმაროს და ეს შემადგენლობა როგორმე შეინარჩუნოს.

გუშინწინ, 26 ივლისს, „მარდების“ ახალდანიშნული მწვრთნელი, ლეგენდარული აიზია ტომასი თავისუფალი აგენტების ლეგიონიდან ერთ-ერთს, ოსტინ კროშერს შეხვდა და კარგა ხანს ესაუბრა. თუმცა დარჩება თუ არა კროშეში „ინდიანაში“, ამაზე კონკრეტულად არაფერი თქმულა. ტომასი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია, იგი ფინალისტი გუნდის ხელმძღვანელად დანიშნეს, რომელსაც ახლა სერიოზული საფრთხე ემუქრება. ტომასსაც სხვა რა გზა აქვს, ერთი შევირიდიდან მეორესთან დარბის და ცდილობს, ისინი როგორმე დარჩენაზე დაიყოლიოს. კროშერს კი მან თავისი გეგმების შესახებ სიტყვაც ვერ დააცდევინა. „მას სურდა, ვაეგო, რას ვფიქრობ მომავალზე და რა აზრის ვარ მასზე, როგორც კალათბურთელზე“ — თქვა მწვრთნელმა. სანაცვლოდ, ცხადია, ტომასსაც იკითხა, რას აპირებდა კროშერი შემდგომ, ამან კი, კიდევ ორი დღე მაცადეთ და პასუხსაც მოგახსენებთო. კროშერს მართლაც სჭირდება დარო იმის გასაანალიზებლად, თუ სად უჯობს თამაში. მას არაერთი მსურველი ჰყავს — „პიუსტონის“, „ბოსტონის“ და „ატლანტას“ ერთი კვირაა, ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ შეუერთდა. კროშერისთვის განსაკუთრებით ამ უკანასკნელის წინადადებაა მომზიბლავი, რადგან წარმოშობით ლოს ანჯელესიდანაა და ცხადია, დიდი სიამოვნებით გააგრძელებდა კარიერას ამ ქალაქის გუნდში.

კარიერა კი კროშერს არცთუ უხვირო ექნება, რის თქმის საფუძველსაც ბოლო სეზონი იძლევა. ოსტინმა შესამჩნევად მოუმატა და „ინდიანას“ მეექვსე მოთამაშედ, ანუ საუკეთესოდ შემცვლელად იქცა. მისი შედეგიანობა თამაშში



ოსტინ კროშერი (№44)

საშუალოდ 10,9 ქულა და 6,4 მოხსნა. ფინალურ სერიაში საშუალოდ მოგროვებული 15,2 ქულა და მებრძოლი სული — აი, რითაც მოაწონა კროშერმა თავი „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობას.

ივანე კობიაშვილი

ნბა-ს ხელფასები

Table with 3 columns: მოთამაშე, კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი, კონტრაქტის ვადა/ბასდონი. Lists players like ვინ ბეიკერი, ბრენტ ბერი, ემანუელ დევისი, etc.

Table with 3 columns: მოთამაშე, კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი, კონტრაქტის ვადა/ბასდონი. Lists players like დი ბრაუნი, ვინს კარტერი, დუგ კრისტი, etc.

Table with 3 columns: მოთამაშე, კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი, კონტრაქტის ვადა/ბასდონი. Lists players like სკოტ პადჯეტი, არმენ ვილიამი, შოვარდ ეისლი, etc.

Table with 3 columns: მოთამაშე, კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი, კონტრაქტის ვადა/ბასდონი. Lists players like შარიფ აბდურ რაჰიმი, მაიკ ბიბი, ანტუან კარი, etc.

მსუბი ხელმისაწვდომი ფასეობი მაღალპროფესიული იურიდიული მომსახურება? მამ, ეწვიეთ ფირმა „პრეცედენტს“, რომელიც მდებარეობს ვერაზე, სასტუმრო „საქართველოს“ მობირდაბირე მხარეს, მედიკიშვილის №7. ტელ: 29-29-46, 52-64-25 (საღამოს), 8 99 56-00-50

რეკლამა სარბიელ-ში Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სამი წლით ნიუ იორკში მიწადა



პატრიკ იუინგი

„ნიუ იორკ ნიქსის“ ბებერ სუპერცენტრს, პატრიკ იუინგს გადაუწყვეტია კიდევ სამი წლით დარჩეს ნა-ში. „მომავალი სეზონის შემდეგ კიდევ ორ წელს ვითამაშებ თუ „ნიუ იორკიდან“ არ წავიდე, ხომ კარგი, თუ არა და სხვა გუნდში თამაშზე არ გამიძინებდა“ — აცხადებს 35 წლის იუინგი. „ნიუ იორკთან“ მის

ოთხწლიან და 60-მილიონიან კონტრაქტს გაისად გასდის ვადა. როგორც ხედავთ, ამ ხნის განმავლობაში პატრიკმა ბებერი იშოვა და ახლა მას ფული ნაკლებად აღელვებს. მთავარია, ითამაშოს და არ ანაღვლებს, თუ „ნიუ იორკი“ მასთან კონტრაქტის განახლებას აღარ ისურვებს. არადა, იგი 15 წელია, მოედანზეა და მუდამ ამ გუნდის ერთგული იყო. „მე ნება

დავრთე დევიდ ფალკს (მისი აგენტის), „ნიქსთან“ მოლაპარაკებებსას დათანხმდეს იმ წინადადებას, რომელიც კლუბისთვის ხელსაყრელი იქნება. მე ეს არ მადლებს, მხოლოდ ის მინდა, რომ მომავალ სეზონს განმრთვით შევხვედე. ისე კი, ბოლო ორ წელსაც სიამოვნებით გავატარებდი ამ გუნდში, რადგან აქ ყოფნა სისარულს მანიჭებს მე მომწონდა „ნიქსი“ ათი წლის წინ, მომწონს ახლა და ვფიქრობ, თვალში არავის ვეჩივრები. სხვაგვარად არაფერი, მარტო გულშემატკივართა სიყვარულის გამო ვრჩები აქ ამას მუდამ ვერბნობდი და ვერბნობ“ — ესეც იუინგის სიტყვებია.

საერთოდ, იუინგი ყოველთვის სიტყვაბუნწობდა, როცა საქმე მომავალ გეგმებზე მიდებოდა. თუმცა ერთხელ წამოსცდა, ურიგო არ იქნებოდა, კარიერის ბოლო წლები „მაიაში“ გამეტარებინა, რადგან ეს ქალაქი ძალიან მზიბლავსო. ეს ისე თქვა, თორემ ყველა ხვდებოდა, პატრიკს გული ძველი მწვრთნელის, პატ რაიონსკენ მიუწევდა, რომელიც ახლა „მაიამის“ თავკაცობს. ამჟამად იუინგი ბაჰამის კუნძულებზე იმყოფება და კიდევ სამ წელს ვითამაშებო, ეს განცხადებაც იქ გააკეთა.

ისე, ბაჰამის კუნძულებზე მისი ვიზიტი საქმიანია. მოგესხენებათ, იუინგი ნა-ს მოთამაშეთა ასოციაციის პრეზიდენტი გახლავთ და კუნძულზე ასოციაციის სხდომას თავკაცობს.

რას ფიქრობს პატრიკ იუინგის განცხადებაზე მისი კლუბი, უცნობია. „ნიუ იორკის“ გენერალური მენეჯერი სკოტ ლეიფი ჩვეულებისამებრ დუმის ამჯობინებს, როცა მოთამაშეების კონტრაქტებზე ვითხვებიან ხოლმე. ისე, ლეიფი იუინგზე, როგორც კალათბურთელზე, მხოლოდ კარგს ამბობს: „იგი ყოველთვის იყო და არის უმაღლესი კლასის სპორტსმენი. პატრიკი ყოველთვის გულით თამაშობს და მეტად საჭიროა გუნდისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ასაკი მოემატა და შედეგიანობას უკლო“. სიმართლე რომ ითქვას, პატრიკი მართლაც მობერდა, ბოლო წლებში ხშირად და იღებს ტრავმებს და მისი შედეგიანობაც მატჩში საშუალოდ 15 ქულამდე დაეცა.

ირაპლი ფირაშვილი


პირველი ფინელი ლიგაში

24 წლის ფორვარდი ჰანო მოტოლა პირველი ფინელი კალათბურთელი იქნება, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშებს. 2000 წლის დრაფტში იგი „ატლანტა ჰოქსმა“ აიყვანა მე-40 ნომრად და ოთხშაბათს კონტრაქტიც გაუფორმა. ამის შესახებ საზოგადოებას „ატლანტას“ ვიცე-პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა პიტ ბებეკოკმა ამცნო. კლუბმა არ გაახმაურა ხელშეკრულების პირობები, მაგრამ ინფორმაციამ მაინც გაკონა: მოტოლამ ორი წლით დაუკავშირა თავის ბედს „ჰოქსს“ და თითოეულ სეზონში 317 ათას დოლარს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ეს ლიგის მინიმალური გასამრჯელოა.

208-სანტიმეტრიანი მოტოლა ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში დაიბადა და კალათბურთის თამაშზე იქვე დაიწყო. სიჭაბუკეში რამდენჯერმე ფინეთის ეროვნულში ჩემპიონატში ითამაშა, მაგრამ მერე ოკეანის გადასვლაზე ზავრა და იუტას უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა და თამაში. ამ სასწავლებლის გუნდში ფინელმა ოთხი წელი დაპყრო და მუდმივად სასტატო სტუდენტური წევრი იყო. სტუდენტური კარიერის დასრულებისას აღმოჩნდა, რომ მოტოლას იუტას უნივერსიტეტისთვის 1491 ქულა მოუტანია, რაც გუნდის ისტორიაში მე-14 შედეგია. ფინელი მატჩში საშუალოდ 12,4 ქულას აკეთებდა.

1999-2000 წლების სეზონში მოტოლა 14 მატჩში იყო იუტას უნივერსიტეტის საუკეთესო ბომბარდირი, ექვსჯერ გადაცდა 20-ქულიან ზღვარს და მატჩში საშუალოდ 17,0 ქულას აგროვებდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფინელმა ფორვარდმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში წასვლა გადაწყვიტა და გაუმართლა კიდევ.

მოტოლა ფინეთის ნაკრების წევრია. 1998 წლის აგვისტოში ლატვიის ნაკრებს 43 ქულა ჩაუგდო და ფინეთის რეკორდი დაამყარა. ფინელები დიდი



ჰანო მოტოლა

აღფრთოვანებით შეხვდნენ თანამემამულის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მისვლის ამბავს. მათი აზრით, მოტოლას მაგალითი მისაბაძი გახდება და ფინეთში კალათბურთის პოპულარობას გაზრდის.

მოტოლა მეორე ახალბედაა, რომელსაც „ატლანტა ჰოქსმა“ კონტრაქტი გაუფორმა. მანამდე, 13 ივლისს კლუბმა სამი წლით დისაკურთხა დრაფტის მეექვსე ნომერი დემარ ჯონსონი. „ჰოქსი“ ჯერჯერობით არაფერს ამბობს დრაფტის 57-ე ნომრის, სკუნი პენის თაობაზე.

ჰერლა Perla

პ ე რ ლ ა

ჰერლა Perla

მ ა რ ბ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა დ ა ზ ი ა

კოსტავას 47





რატომ ლანძღავენ?

ბრაზილიელები იდგნენ და საკუთარ მწვრთნელს ავინებდნენ. მთელი კვირა ასე იყო — საბრალო ვანდერლექი ლუქსემბურგო ლამის ჯვარს აცვეს. მერე კი, სან პაულუს „მურუმბიზე“ ბრაზილიამ 3:1 მოუგო არგენტინას და, ეს ტანაშოლტილი გოგონებიც მთელი ღამე ვანდერლექის საპატივცემულოდ ცეკვავდნენ „მურუმბას“ ტერასებზე.



თაყვანი სკალას


არა, აღმოსავლეთში სხვანაირი სიყვარული იცაან — თურქული „ბეშიქთაშის“ იტალიელ მწვრთნელს, ნევიო სკალას, ალბათ უკვირს კიდევ — კაცი ფეხბურთში გააქვარავდი და ხელზე არავის უკოცნიათ. „ბეშიქის“ ყრმა ფანი კი იმას აღუფრთოვანებია, რომ მის საყვარელ ვუნდს სოფიის „ლეკსი“ დაუმარცხებია ჩემპიონთა ლიგის მეორე რაუნდში.

უშუის მორიბი

ბურთი არ გავორდება საქველმოქმედოდ, ფორმულა 1-ის განთქმული მრბოლი მიხაელ შუმახერი რომ იქ არ გაჩნდეს. უქმეებზე ჰოკენჰაიმში გერმანიის დიდი პრიზი თამაშდება, მანამდე კი მანჰაიმში საქველმოქმედო თამაშია: შუმახერი „შტუტგარტელ“ მიხაელ ფრონცეკს ეტოლება.



ლენსი სამუოზლოში



„ტურ ღე შრანსის“ ზედიზედ მეორედ მომგები ამერიკელი ლენს არმსტრონგი ნიუ იორკს დაბრუნდა და ცოლ კრისტიანთან ერთად ხედება თაყვანისმცემლებს. ლენსი სხვა რამეშიც ვმირია — თავის სხეულში კიბო დაუმარცხებია. შეხვედრას კი „ნაიკი“ მასპინძლობდა.

დამპატიყუაბი



ჩინეთის დედაქალაქ ბეკინში დიდი საფეხბურთო ფესტივალი მიმდინარეობს. 13 ქვეყანას გაუმართავს აქ თავისი საფეხბურთო გამოფენა, რამაც ჩინეთში ფეხბურთის განვითარებას უნდა წაკრას ხელი. აბა, სერ ბობი ჩარლტონის გარეშე ეს საქმე როგორ გამოვა. ანდა როდის იყო, ფრანც ბეკენბაუერი აკლდებოდა ამგვარ ღონისძიებებს. მსოფლიო 2000-ის მასპინძლობისთვის ატენილ ჭიდილში, ეს დეაწლმოსილნი თავთავიანთი ქვეყნების კამპანიებს თავგაცობდნენ და ერთმანეთს დაუბრუნენ კიდევ. თუმცა, ფეხბურთის ამბავში თუ გვერდიგვერდ არა, შორიანლოს მანც არიან.



სარბიელი
საქართველო გაზეტი
გამოიცემა 1990 ჟლის
28 დეკემბერიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონსჳერიანი
ლირექტორი ბიორგი ოქრომჳალიანი
რედაქტორი თიამაჳ მიბრიაჳლი
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაჳვილი
აჳთიანდილ გურასაჳვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პასტანბ ბჳნიკაჳჳ
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლოჳონ გჳლინაჳვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიჳვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ სნლაჳვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიჳვილი
ფეხბურთის რედაქცია ქართული განყოფილება კობა ინასარიძე,
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაჳკიძე, ზურაბ მეტეველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, დავით გულუჳა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სეანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მია აბიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კასა თალაკვაძე; ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვლელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარია ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომჳებები ზურაბ ინაშვილი

დამაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრა ყაზაბჳის ბაჳზირი 42, II კორაჳსი, IV სართული.
საჳოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საჳოსტო ჟუთი 208. ტელეჳონი: 39 48 29
ელეპტრონული ჳოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელეპტრონული ჳერსიანი http://www.sarbieli.com.ge